

ვალერი ოთხოზორია

აგამემნონი

მოქმედი პირები:

აგამემნონი

კასანდრა

კლიტემნესტრა

მსახური მონა (ბიჭი)

შემოკლებანი:

აგამემნონი - ა.

კასანდრა - კ.

ოთხკუთხა მაგიდასთან სხედან: აგამემნონი და კლიტემნსტრა პირისპირ, შესაბამისად ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს, კასანდრა - მაგიდის მარჯვენა, ანუ აღმოსავლეთ მხარეს.

ა. (კასანდრას.) ახლა რას ფიქრობს?

კ. მხოლოდ ჩვენი მოკვლა უნდა. გარინდებულია.

ა. გარინდებულია?! (პაუზა.) რა სჭირს?!

კ. ჩვენი განადგურება უნდა.

ა. განადგურება?!

კ. მოკვლა, ანუ.

ა. რატომ არ ლაპარაკობს?! მუნჯია?!

კ. ხმას ვერ იღებს და იქამდე ვერ ამოიღებს, ვიდრე არ მოგვკლავს.

ა. რატომ უნდა ჩვენი მოკვლა?!

კ. ვძულვართ.

ა. ორივე?!

კ. შენ უფრო, მაგრამ მეც არანაკლებ.

ა. მართლა მოგვკლავს?!

კ. კი.

ა. რანაირად?!

კ. ჩვეულებრივად.

ა. გამოშტერებული სახე რატომ აქვს?!

კ. გაოგნებულია.

ა. რამ გააოგნა?!

კ. რაც მოხდა.

ა. მომხდარში რას გულისხმობს?! (კასანდრა არ პასუხობს. პაუზა.) აზროვნების უნარი აქვს?! მოქმედების უნარი აქვს?!

- კ. გადასარევად. გველივით ბრძენი, მოქნილი და შხამიანია. დაუნდობელიც.
- ა. რატომ არაფერს ჭამს?!
- კ. ლუკმა არ გადასდის.
- ა. წყალი დალიოს!
- კ. როცა მოსწყურდება - დალევს, მაგრამ ჩვენი სიკვდილის შემდეგ.
- ა. ჩანგალი აიღო!
- კ. უბრალოდ აიღო. დადებს.
- ა. თვალეზი დაახამხამა.
- კ. ეს ბუნებრივია.
- ა. ყურთასმენა ხომ აქვს?!
- კ. ყველაფერი შესანიშნავად ესმის.
- ა. *(კლიტემნესტრას.)* საყვარელო! *(პაუზა. აგამემნონი კასანდრას:)* არ რეაგირებს.
- კ. ეს შენ გეჩვენება, რომ არ რეაგირებს, რაც ტყუილია. სინამდვილეში, გული აუჩქარდა, კუჭში ადრენალინი გამოეყო, ხოლო ტვინის ზოგიერთ უბანზე ინტენსიური აქტივობა გამოუვლინდა.
- ა. ესე იგი, გაიგო, რაც ვუთხარი?!
- კ. აბსოლუტურად.
- ა. მერე?!
- კ. შენ მიმართ სიძულვილით და ზიზღით აღივსო.
- ა. არ დაიჯერა, რაც ვუთხარი?! არ სჯერა, რომ მიყვარს?!
- კ. 1%-იც არ სჯერა!
- ა. როგორ დავაჯერო?! მითხარი, როგორ დავაჯერო!
- კ. შეუძლებელია.
- ა. არ მჯერა! *(აგამემნონი კლიტემნესტრას მაგიდაზე დაწყობილ ხელებს ხელებში იღებს, ეფერება, კოცნის და გულში იხუტებს. მაგიდა ჯანჯღარებს და ზედ დაწყობილი ჭურჭელი წკრიალებს.)* მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ! გესმის?! მართლა მიყვარხარ! შენს თავს ვფიცავარ! ბავშვებს გეფიცები! ყველაფერს გეფიცები! რატომ არ გჯერა ჩემი?! *(კასანდრას:)* რატომ არ მიჯერებს?!

კ. ფიქრობს, რომ ცრუპენტელა და ნაძირალა ხარ.

ა. *(კლიტემნესტრას.)* ცრუპენტელა არ ვარ, ჩემო სიყვარულო! რატომ მიმეტებ ასე?! ეს ყველაფერი ხომ შენთვის გავაკეთე?! *(კასანდრას.)* ჩემი ცოლი ცუდადაა! სერიოზული მკურნალობა სჭირდება! მარტოობაში გაგიჟდა... მარტო არ უნდა დამეტოვებინა... მაგრამ ჩემთან უარესი დაემართებოდა... არ ვიცი, რა უნდა გამეკეთებინა, რომ მისი ჯანმრთელობა არ დაზიანებულიყო!..

კ. ის მარტო არ ყოფილა.

ა. რა?!

კ. მარტო არ ცხოვრობდა.

ა. მარტო იყო ოჯახში... მარტოს ეძინა... მსახურებს და მონებს ამ შემთხვევაში... *(კასანდრა აწყვეტინებს.)*

კ. მარტოს არ ეძინა.

ა. რას ნიშნავს „მარტოს არ ეძინა“?! ბავშვები აქ არ იყვნენ.

კ. სხვა კაცთან ეძინა.

ა. ვინ სხვა კაცთან?!

კ. შენ ახლა გაიფიქრე მისი სახელი.

ა. შეუძლებელია!

კ. ჭეშმარიტებაა.

ა. რის გამო?! რისთვის?!

კ. ჯერ დაგსაჯა, მერე კი შეუყვარდა.

ა. შეუყვარდა?! დამსაჯა?! *(პაუზა.)* ის სად არის?!

კ. გარეთ გიცდის. ალყა აქვს შემორტყმული.

ა. ალყა?!

კ. შეგიძლია გარეთ გახვიდე.

ა. გგონია, ვერ გავალ?!

კ. სცადე. გადი.

ა. გავალ! თუ მინდა, გავალ! რასაც მინდა, იმას ვიზამ! *(პაუზა.)* გარეთ რატომ მიცდის?!

- კ. ბრძოლა უნდა შენთან. მუხანათურად არ უნდა, მოგკლას.
- ა. ჰაჰაჰაჰა! დღეს მასხრობის დღეა თუ რა ხდება?! მას ჩემთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სურს?! წედან რაც მითხარი, მიდასტურებ?!
 კ. შეგიძლია გარეთ გახვიდე და შეამოწმო.
- ა. შენ აქ დარჩები?!
 კ. კი. სისხლის დანახვაზე გული მერევა.
 ა. თუ გარეთ გავალ, რა მოხდება?!
 კ. როგორც კი კარის ზღურბლზე გადახვალ, უკან ცოცხალი ვეღარ შემოხვალ, და არც მკვდარს შემოგიტანენ.
 ა. მკვდარს რატომ არ შემომიტანენ?!
 კ. ღირსად არ ჩაგთვლიან.
 ა. *(კასანდრას სახეში სილას გართყამს.)* გგონია, რასაც მეტყვი, ყველაფერს დაგიჯერებ?! გგონია, რომ ტყუილებით გამაგიჟებ და დამიმორჩილებ?! დაიმახსოვრე, ბოზო: შენი ბოლო პატრონი მე ვარ! სხვა პატრონი არ გეყოლება, ასე, რომ ჭკვიანად!..
 კ. გარეთ გადი და ნახავ, რაც მოხდება.
 ა. მე არსად გასვლას არ ვაპირებ! ჩემს ცოლს მარტოს არ მივატოვებ!..
 კ. შენ აქ უკვე არავინ გემორჩილება.
 ა. აბსურდია! *(მსახურ ბიჭს, იგივე მონას, დაკეცილი თეთრეული შემოაქვს და მაგიდის მარცხენა მხარეს დებს.)* რა არის ეს?! *(ბიჭი არ პასუხობს.)* რა არის ეს?! შენ გეკითხები, მონავ! *(ბიჭი სწრაფად გადის. აგამემნონი გაეკიდება, მაგრამ ვერ ეწევა. ბიჭი კარს მიიხურავს, აგამემნონი კარის სახელურს ხელს კიდებს, მაგრამ კარის გაღებას გადაიფიქრებს.)* აქ ვინმე ხომ არ შემოიჭრება?!
 კ. ყველანი უკვე აქ ვართ. დამშვიდდი.
 ა. ნუ მამშვიდებ! ის?! შემოვა ის?!
 კ. სასახლეში თავს ცუდად გრძნობს. ბოლომდე გარეთ დაგელოდება.
 ა. როგორ მომკლავს ჩემი ცოლი?!
 კ. ნაჯახით თავს გაგიპობს.

ა. ნაჯახით?! მგონი, ზედმეტად ბლაგვი ფანტაზია გაქვს!.. *(პაუზა.)* შენ როგორ მოგკლავს?!

კ. შენამდე მომკლავს იგივე მეთოდით.

ა. რა დროითი მანძილია შენსა და ჩემს სიკვდილს შორის?

კ. დაახლოებით ხუთი წუთი.

ა. მეტი არა?!

კ. არა.

ა. აბსურდია. რასაც ახლა ლაპარაკობ, რაც აქამდე ილაპარაკე და რასაც აწი ილაპარაკებ, ეს ყველაფერი ბოდვაა.

კ. რას აკეთებ?!

ა. ფარდებს ვხსნი, როგორც ხედავ.

კ. რატომ?!

ა. ამ ბაწრებით უნდა დავაბა.

კ. ვინ უნდა დააბა?!

ა. შენი ბოდვის გამო, ჩემი საბრალო ცოლისთვის ხელ-ფეხის შეკვრა და სკამზე დაბმა მიწევს, რათა ჩემი მოკვლა ვერ მოახერხოს... *(აგამემნონი კლიტემნესტრას ფარდიდან გამომდრობილი ბაწრით ხელ-ფეხს უკრავს და სკამზე აბამს.)* ყველაფრიდან სიკვდილს მოველი... ფოთოლმაც რომ გაიფაჩუნოს, მგონია მე უნდა მომკლას... ავადმყოფი ვარ! შეხედე, რას დავემსგავსე!.. ჩემზე ბევრად ტრავმირებულისა და ავადმყოფის ბოდვას ვიჯერებ და 100%-ით ვემორჩილები! სიგიჟე არ არის?!..

კ. ეს არის ერთადერთი სწორი საქციელი, რომლის ჩადენაც შენს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ხელეწიფება.

ა. რა თქვი?!

კ. ეს არის ერთადერთი სწორი საქციელი, რომლის ჩადენაც შენს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს ხელეწიფება. *(აგამემნონი მოწყვეტით ურტყამს სილას სახეში კასანდრას.)*

კ. რამდენიც არ უნდა მირტყა, ან მლანძლო, ბედისწერას მაინც ვერ შეცვლი.

ა. აჰაჰაჰაჰაჰა! თავი კომმარში მგონია!

კ. ეს არის კიდეც კომმარი.

ა. რა თქვი?! გაიმეორე!

კ. ეს არის კიდეც კომმარი.

ა. კარგი, მოდი, მე და შენ ვიმსჯელოთ. როგორც ხედავ, ჩემი ცოლის მხრიდან წამოსული პოტენციური ფიზიკური საფრთხე განეიტრალებულია. დედოფალს ხელ-ფეხი შეკრული აქვს და სკამზეც საიმედოდაა დაბმული. როგორც ამას წინათ ბრძანე, გარედანაც ვინმე შემოჭრას არ აპირებს. შესაბამისად, თუკი ქალბატონი ტიტანური ძალით არ შემოიხვეს ტანზე ბაწრებს, ან თავად ღმერთები არ ჩაერევიან მის გათავისუფლებაში, როგორ შეძლებს იგი ჩემთვის თავის გაპობას?!

კ. შენ თვითონ გაათავისუფლებ შენს ცოლს სიკვდილის წინ.

ა. აჰაჰაჰაჰაჰა! ეს უკვე მეტისმეტია! ასეთ პერვერტულ ფანტაზიას შენგან არ ველოდი!

კ. ამას არ დაიჯერებ.

ა. რას არ დავიჯერებ, რომ ჩემს მეუღლეს ჩემივე შეკრულ ხელ-ფეხს გავუხსნი და სკამიდანაც წამოვაცენებ?! აჰაჰაჰაჰაჰა! რატომ არ დავიჯერებ?! გავგიჟდები?!

კ. ბედისწერა შეგიპყრობს. დემონი.

ა. ბედისწერა?! დემონი?! აცნობიერებ, რომ უკვე აბსურდის ზღვარს ვცდებით?!

კ. რაც გინდა ის თქვი, მაგრამ ამით ვერაფერს შეცვლი.

ა. *(ხელს მაგიდაზე არტყამს.)* სისულელეა! ნუთუ, ჩემს ცოლთან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს?!

კ. ყველა გზა მოჭრილია.

ა. მე მჯერა ჩემი ცოლის! მე მჯერა ყოფიერების! ჩემი ოჯახის მჯერა! ამ სამყაროსი მჯერა! ღმერთების მჯერა! სიწმინდის მჯერა! სიყვარულის მჯერა! *(კლიტემნესტრას.)* გესმის?! *(კასანდრას.)* ესმის?!

კ. კი.

ა. *(კლიტემნესტრას.)* ჩვენი შვილების ხათრით! ჩვენ შეგვიძლია დაკარგულის დაბრუნება! ჩვენი შვილები ხათრით!.. *(პაუზა.)* შენ ალბათ მე კაციჭამია გგონივარ... სისხლისმსმელი ვამპირი... მანიაკი... ყველაფერზე წამსვლელი... ყველაფრის მკადრებელი... ხარბი... შურიანი... ეგოცენტრული არამზადა... *(პაუზა.)* როგორც ნებისმიერი ადამიანის შემთხვევაში, ეს ნაწილობრივ მართალია, კლიტემნესტრა, მე ვაღიარებ! ვაღიარებ, რომ ჩემზე „კარგი ადამიანი“ არ ითქმის... მაგრამ „უკანასკნელი ადამიანი“?! „უკანასკნელი ადამიანი“ ითქმის ჩემზე?! ეს მეტისმეტია! ნუ იქნები სასტიკი, კლიტემნესტრა! ნუ იქნები შეუბრალებელი! ნუ გაწირავ ჩვენს შვილებს! ნუ გაწირავ ყველაფერს! ნუ გამწირავ მე! განა, ერთი დღეს არ გქონია ლამაზი ჩემთან ერთად?! ის დღე გაიხსენე!.. გაიხსენე ის წამი, რომელმაც ყველაზე მეტად გაგაბედნიერა... თუნდაც, შვილის დაბადების წამი... თუნდაც... *(პაუზა.)* ყოველთვის შეგიძლია გაიხსენო რაღაც, რის გამოც სხვას გადაარჩენ... ასე არ არის, კლიტემნესტრა?! არ მეთანხმები?! ნუთუ, კარგი არაფერი გახსენდება?!.. *(კასანდრას.)* ახლა რას იხსენებს?!

კ. სიტყვებით არ გადმოიცემა, ეს ყველაზე საშინელია.

ა. *(გაბრაზებული.)* საშინელებას რატომ იხსენებს ეს ქალი?! ავადმყოფია?! მაგას გონია, რომ მე მარტო სისასტიკით ვარ დაკავებული, ადამიანური გრძნობები კი არ გამაჩნია?! *(პაუზა.)* აბა, რამ დამასუსტა ასე?! რამ ამიშალა ნერვი?! რატომ გავხდი ასეთი მშიშარა?! *(კლიტემნესტრას.)* იცი, რამდენი რამ გადამხდა?! რა გადავიტანე?! რამდენი ვიდარდე?! ღამე რატომ არ მეძინებოდა?! რაზე ვერ ვესაუბრებოდი ვერავის?! რას ვიმარხავდი მხოლოდ გულში?! რაზე ვტიროდი ქალივით?! რა მტკიოდა?! *(ყვირილით.)* ამაზე ოდესმე გიფიქრია?! *(კლიტემნესტრას აჟანჯღარებს. კასანდრას.)* თვალები ასეთი გამოცარიელებული რატომ აქვს?!

კ. შინაგანი მზერით იყურება.

ა. ბრმაა?! ვერ ხედავს?!

კ. ძალიან ცოტას ხედავს, მაგრამ ძალიან კარგად.

ა. იმას რატომღა ვერ ხედავს, მე რას ვხედავდი იმ დროს, როცა ჩემი ოჯახისგან შორს ვიბრძოდი, მარტოდმარტო?! „მთავარსარდალი ვიყავი! ყველაზე დიდი არმიით! ყველაზე ძლიერი!“ - ის მხოლოდ ამას ხედავს! „ვბომბავდით! ვხოცავდით! ტყვეებს ვაწამებდით! ვაუპატიურებდით!“ - ის მხოლოდ ამას ხედავს! მე ამ დროს რას ვხედავ?! ყველაზე მაღლიდან მე ვიყურები, როგორც ტანჯული ღმერთი და ვხედავ: ორი მთაა, აქეთ და იქით. ერთ მთაზე ჩემი ხალხია განლაგებული, მეორეზე მტრები არიან. ჩვენი მთის ძირში მდინარე მიედინება, ლამაზი ჭალებია, ცხენები ჭიხვინებენ... მერე ნათესებია, ყანები... შემდეგ კიდევ ერთი გორაკია, ამ ორ მთას შუა. გორაკებზე საფლავებია და სათიბები. სროლა იწყება. ჭურვები სკდება ორივე მხარეს. ფოთლები ტყვიებისაგან და სითბური ტალღებისაგან თრთიან. გორაკზე კი, საფლავებს შორის, კაცი გამოდის ცელით ხელში და თიბვას იწყებს... ტყვიების ზუზუნში თივას თიბავს, თითქოს არაფერი ხდება... უნახავს ჩემს ცოლს ასეთი რამე?! გაყინვია სისხლი ძარღვებში მასაც ისევე, როგორც მე იმ დროს?! *(კლიტემნესტრას სახეში ურტყამს და შეკრულ ხელ-ფეხზე ეფერება და კოცნის.)* ქალაქის მთავარ მოედანზე პარკი, დიდი შადრევნით... გვერდით საქანელები ცისარტყელის ფერებში... სიჩუმეა. ადამიანის ჭაჭანება არ არის. მარტო ერთი გოგო, ასე 14-16 წლის, გრძელი ნაწნავებით, საქანელაზე ზის და ქანაობს. ბინოკლიდან ვხედავ მის სახეს. მშვიდი, არაამქვეყნიური გამომეტყველება აღბეჭდვია, თითქოს კოსმოსშია და იქ ვარსკვლავზე დამჯდარა და ქანაობს... „მამა! შვილო!“ გული გამიჩერდა. „ჩამოდი მაგ საქანელიდან და თავშესაფარში გაიქეცი! რა დროს ქანაობაა!“ - ვუყვირი, მაგრამ აბა რას გაიგებს... უცებ, ორივე მხრიდან ისეთი სროლა ტყდება, ტყვიები შადრევნის წყალ ამოსვლის საშუალებას არ აძლევენ... წყალი გველივით იკლავს ტყვიების ქარში... გოგო საქანელაზე შემდება და არ იძვრის... თითქოს, დახატეს... ტილოზე გადაიტანეს და გაშეშდა. იფიგენია მახსენდება! ჩემი ელექტრა! იმ საქანელაზე ახლა იფიგენია ზის! ელექტრა ქანაობს! „მამიკო, დროზე, ჩამოდი იმ საქანელიდან! გაიქეცი! არ მოკვდეთ, მამა!“ *(ტირის.)* ერთ დღესაც, ვიდეოთი ვადევნებ თვალს, როგორ

წმენდენ ქალაქს ჩვენი ჯარისკაცები... მტერი უკანასკნელი ძალებით გვებრძვის... ძირითადად, თვითმკვლელი ტერორისტები გვერჩიან... ერთი ვერტმფრენი უპოვიათ სადღაც და ზევიდან დაგვიშვეს... ჩვენებმა შენობა დატოვეს და მეზობელი სახლისკენ გარბიან... თურმე, სარდაფში იქაური ბავშვები ყოფილან... რომ ნახეს, ჯარისკაცები გარბიან, ამათაც შეშინებიათ და გამოქცეულან... ახლა, გზაზე ერთად გარბიან... ჩვენი ჯარისკაცები უყვირიან: „დაწეეთ! დაწეეთ!“ მათ კი არ იცოდნენ, რომ მტრებთან ერთად გარბოდნენ... ისე გაუფართოვდათ თვალები, არასოდეს დამავიწყდება... ეგონათ, ჯარისკაცები მოკლავდნენ... აბა, ჯარისკაცები ბავშვებს როგორ მოკლავდნენ?! მაგრამ მათ ასე ეგონათ და ისე შეშინებულები უყურებდნენ ჯარისკაცებს... მათი თვალები არასოდეს დამავიწყდება... ეს რომ დავინახე, მათში ჩემი ორესტე მომელანდა!.. შეშინებული ორესტე... რომელსაც ეშინია უცხოელმა მამამ არ მოკლას!.. *(თვალებს იწმენდს.)* მე რა გადავიტანე, ამას შენ როგორ გაიგებ, კლიტემენსტრა?! შენ მარტო ჩემს სისხლს და ცოდვებს ხედავ! ადამიანური რესურსი საბოლოოდ ამოვწურე შენს თვალში... *(პაუზა. მსახურს ნაჯახი შემოაქვს და თეთრეულზე დებს. აგამემნონი ბიჭს ხელში ჩაავლებს.)* ვინ გიბრძანა ამის მოტანა?! *(მსახური დუმს. აგამემნონი ურტყამს. მსახური ეცემა. აგამემნონი ყვირილით:)* ვინ გიბრძანა ამის მოტანა?! *(მსახური ისევ დუმს. აგამემნონი ისევ ურტყამს. აგამემნონი მსახურს წამოაყენებს და მაგიდის მარცხენა მხარეს, კასანდრას პირისპირ, სკამზე აბამს. აგამემნონი ნაჯახს იღებს. ათვალთქვებს, ამოწმებს.)* ოჰო! როგორი ალესილი პირი აქვს! კანის ასათლელად გამოდგება... ჩვენ ახლა ყველაფერს გავარკვევთ: ვინ მოგატანიხა ნაჯახი აქ?! რისთვის?! რატომ?! რა მიზეზით?! დარწმუნებული ვარ, გავარკვევთ, ასე არ არის?! *(ბიჭი დუმს. აგამემნონი ნაჯახით თმას გადაპარსავს. მონა ამოდ ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს. აგამემნონი კასანდრას:)* ამან რაღატომ ჩაყლაპა ენა?!

კ. ის ამბობს: „ენაზე ხარმა დამაბიჯა.“

ა. რომელმა ხარმა?! დამცინის?! *(ნაჯახის ტარს სახეში ურტყამს. ბიჭი მოგუდული ხმით ყვირის.)*

კ. იმდენად არ სურდა, საშინელი საიდუმლო გაეთქვა, რომ ლაპარაკის უნარი დაკარგა.

ა. რომელი საიდუმლო?!

კ. დედოფლის შესახებ, რომ ის მეფის არყოფნაში სხვა კაცთან სარეცელს იყოფდა.

ა. რატომ?! ამასაც რცხვენოდა ჩემს ნაცვლად?! ეს ნაჯახი რა შუაშია?! *(ნაჯახის პირით მკერდს გაუსერავს. ბიჭი გონებას კარგავს. აგამემნონი ჭიქით წყალს შეასხამს. ბიჭი გონებაზე მოდის.)* მე ვფიქრობ, მის ალაპარაკებას შევძლებ...

კ. დემონი უზის სულში. ის მართავს. ამ სახლს დიდი ხანია ბედისწერა მართავს.

ა. ჩემს არყოფნაში, გამოდის, ყველა დამუნჯებულია და ყველას სულში დემონი ჩამძვრალა! მეც ხომ არ მიზის სულში დემონი, კარგად შემომხედე!

კ. არა, რადგან ეს აუცილებელი არაა.

ა. მე გამოვდევი ახლა მისგან დემონს! *(ხელს მაგიდაზე დაადებინებს და ნაჯახის დარტყმით თითებს აჭრის. სისხლი იფეთქებს და სამივეს - აგამემნონს, კასანდრასა და კლიტემნესტრას თანაბრად დაცვარავს. აგამემნონი მონას ცხვირს და ყურს აჭრის. სისხლის ჭავლები, შესაბამისად, იმატებს.)* დემონო, გამოდი მისგან, თორემ გამოსვლას ვეღარ მოასწრებ!

კ. თუკი სიამოვნებას არ იღებ, მის წამებას ჯობია შეეშვა. არ იმსახურებს.

ა. არ იმსახურებს?!

კ. ეს ბიჭი შენი სასახლის სახურავზე იწვა 10 წელი და ომის დასასრულის მაუწყებელი ცეცხლის გამოჩენას ელოდა. ყოველდღე შვიდჯერ ლოცულობდა, რათა შენ გაგემარჯვა. რაც უფრო იწელებოდა დასასრული, ბიჭი სულ უფრო მეტს ლოცულობდა, რადგან მით უფრო ეზარებოდა სახურავზე წოლა. როდესაც გაიმარჯვე, შენს მოსვლამდე ბედისწერისგან აქ დემონები მოვიდნენ. ერთმა დემონმა ნახა იგი სახურავზე და მაშინვე სულში ჩაუსახლდა. მონას ლაპარაკის უნარი წაერთვა. როგორც კი ცეცხლი იხილა, პერანგზე ცეცხლი წაიკიდა და ისე მიირბინა დედოფალთან, რათა გამარჯვება ეხარებინა.

ა. აი, თურმე რისგან ჰქონია ტანი დამწვარი... საბრალო მონა! ის ძალღზე მეტად ერთგული ყოფილა სასახლისა! თუმცა, ეს მაინც ვერ იხსნის დაღუპვისგან... ის მოკვდება, რათა მასში მყოფი დემონიც მასთან ერთად მოკვდეს...

კ. ვინც დემონს მოკლავს, სასტიკად დაისჯება.

ა. მე არ მეშინია სასჯელის, კასანდრა! ჩემი ყველაზე დიდი სასჯელი შენ ხარ! თავიდანვე რომ შენს ბოდვებს ავყევი... იმდენად მარტო ვიყავი... იმდენად დამლაპარაკებელი არავინ მყავდა... არავინ მისმენდა გულისყურით... არავინ მელაპარაკებოდა... მხოლოდ ბრძანებებისთვის მისმენდნენ. მხოლოდ მეფე ვიყავი და არა - ადამიანი. ჩემში ზეადამიანს ხედავდნენ... ღმერთის სადარს... შენ კი თავიდანვე სხვანაირად დამინახე. შენ ხედავდი უფსკრულს ჩემს სულში. ისეთი რამე მკითხე, რაც მანამდე არავის უკითხავს. „საიდან ამდენი სევდა?!“ არც მეფეს, არც მთავარსარდალს ამას არავინ ჰკითხავს. ამ შეკითხვით უკვე სამუდამოდ დაბმული გყავდი. უკვე შენს თავს არავის დავუთმობდი, მათ შორის არც აქილევსს, რომელიც უმეცრად ყველაფრის დაპატრონებას და მითვისებას ცდილობდა! უბედნიერესი მხეცი! ყველაზე ამაზრზენი იყო აქილევსი ჩვენ შორის! შეუდრეკელი... ჯანმრთელი... უძლიერესი... მიმზიდველი... აქილევსს არასოდეს შეეყრებოდა ღებრესია. მელანქოლია მისგან ყველაზე შორის იყო. პრაქტიკული, პრაგმატული, მუდამ ემპირიკოსი... „პოზიტივისტი!“ - როგორც ეძახდნენ. ერთადერთხელ დასევდიანდა აქილევსი. მხოლოდ ერთხელ. როცა გაიგო, რომ ახალგაზრდა უნდა მომკვდარიყო. თუკი სახელის დატოვება სურდა, ვეღარ დაბერდებოდა. სახელისთვის კი ის თავის სიცოცხლესაც გაიღებდა. სწორედ მაშინ აღმოაჩინა, რომ მასში გაუცნობიერებელი სურვილებიც არსებულა... რომ, თურმე, ძალიან უნდა დაბერება... სევდის გარეშე კაცი იმდენ რამეზე არ დაფიქრდება! არც შეაწუხებს ეს. უბრალოდ ბედნიერი იქნება. არასოდეს შემშურებია ასეთების! ალბათ ამიტომაც ვიყავი ყოველთვის უბედური.

კ. შენ ყველაზე უბედური იყავი მათ შორის, ვინც კი მენახა. გამარჯვებული და ყველაზე უბედური. შემძრა ამან. ვერ მივხვდი, რატომ. ვერც ახლა ვხვდები.

მივხვდი, ვერასოდეს მიგატოვებდი. ყოველთვის შენთან ვიქნებოდი, სიკვდილამდე. არავის დედამიწის ზურგზე შენსავით არ ვჭირდებოდი. ეს ბედისწერა იყო.

ა. ეს ბედისწერა არ ყოფილა! ეს წყევლა იყო! ავადმყოფობა! შენამდე უბედური ვიყავი, მაგრამ „მშიშარს“ მეძადნენ და ჩემს რაციონალობაში ყველა დარწმუნებული იყო. შენ შემდეგ მშიშარა გავხდი და სრულიად გავგვიყდი. შენ მიერ ნათქვამ ნებისმიერ აბსურდს ვიჯერებ...

კ. ჩემი ნათქვამი „ჩემი ნათქვამი“ არ არის. არც აბსურდია.

ა. მეც ასე მჯერა და ამიტომ ვიჯერებ ამ აბსურდს! (პაუზა.) როცა პირველად დამინახე, მაშინ უკვე მშიშარა ვიყავი?

კ. ძალიან მშიშარა იყავი. მე გავიფიქრე, რომელი უფრო იყავი - „მშიშარა“ თუ „უბედური“...

ა. რა დაასკვნენ?

კ. სამწუხაროდ - „უბედური“.

ა. ახლა შეგიძლია პასუხი შეცვალო (მონას მივარდება და ნაჯახით დაჩეხავს). პასუხი აგე ლალატისთვის!

კ. შენ ის მოკალი.

ა. დაიმსახურა!

კ. „ლალატისთვის“?! დედოფალს რატომ არ მოსთხოვ პასუხს?!

ა. იმიტომ, რომ სინამდვილეში შენ ხარ დამნაშავე! ეს ყველაფერი შენი ტყუილებია! შენი ბოდვა! ესეც შენ გამო მოკვდა! ამბობდნენ, რომ უბადლო წინასწარმეტყველი ხარ. მტრის ბანაკიდან შენ იყავი ერთადერთი, ვინც თავისი ქალაქის დაცემა და მოსისხლე მტრის გამარჯვება იწინასწარმეტყველა. ამის გამო ლამის კოცონზე დაგწვეს. შენი ნახვის წინ შიშმა და სიგიჟემ შემიპყრო. დაღლილი ვიყავი. ბრძოლისგან. ძალადობისგან. ყველაფრისგან. ფსიქოლოგიურად ვერ გავუმელი ამ ყველაფერს. დაგემორჩილე... დაგემონე... შენი სიტყვის მსახური გავხდი... სიტყვის მონა... წარსულის ჯოჯოხეთი ახალი

ჯოჯობით ჩავანაცვლე... ჩვენ ორივეს ფსიქოლოგი გვჭირდება... მაგრამ შენ - უფრო...

კ. დაგვიანებულია. მალე სიკვდილი მოგვხედავს.

ა. *(ყვირილით.)* სისულელეებს ნუ რომავ! ოჯახური ცხოვრება მინდოდა! მყუდრო ცხოვრება! არა ომი! არა ძალადობა! მხოლოდ კანონი! სტაბილურობა! მშვიდობა! კეთილდღეობა! შვილების გაზრდა! ტახტის გადაცემა და დასვენება... მუსაიფი ფილოსოფოსებთან... ამ ოცნებებით ჩამოვედი... მაგრამ შენთან ერთად! ჩემს ცოლთან ჩამოვედი! მაგრამ შენთან ერთად!.. ცოლი კი... საშინელ მდგომარეობაში დამხვდა... შენ კი როგორ მაგიჟებ! მაგრამ მე არ გავგიჟდები! ამ აბსურდს დავასრულებ! ჩემს ცოლს დავუბრუნდები! შენ საბოლოოდ უარგყოფ! შენთან ყოფნა მე საბოლოოდ დავასრულე! საკმარისია.

კ. წინასწარმეტყველისგან ფსიქოლოგს ვერ შექმნი. აი, ამიტომ ბრაზობ.

ა. ვბრაზობ, ჩემს დაცემას რომ ვაკვირდები! ვბრაზობ, რომ ვხედავ, რა შორს შემატოპინა შენი ბოდვის რწმენამ! *(კლიტემნესტრას ათავისუფლებს.)* ჩემო ძვირფასო! ჩემო სიყვარულო! ბრძენო დედოფალო! მეფის ერთგულო! ქვეყნის ერთგულო! შვილების ერთგულო! მაპატიე სიგიჟე, კლიტემნესტრა! ტანჯულო, შვილმკვდარო ქალო! მაპატიე! მაპატიე ჩემი სიგიჟე! ჩემი ავადმყოფობა! ჩემი სიმხეცე! უგუნურება! უგულობა! როგორი ბრმა ვარ! *(კლიტემნესტრას ხელებს უკოცნის და ტირის.)*

კ. მე გითხარი, შენ თვითონ გაათავისუფლებდი შენს მკვლელს...

ა. *(მრისხანედ.)* ხმა ჩაიწყვიტე, ბოზო! გეყო, რაც იყბედე! გაჩვენებ, ვინ შეიკვრება ახლა! ახლავე გაჩვენებ! *(კასანდრას აბამს იმ ბაწრით, რომელიც კლიტემნესტრას ახსნა. კასანდრას პერანგს შემოახევეს და პირში ტენის, რათა არ ილაპარაკოს.)* იყბედე ახლა, რამდენიც გინდა: ალყაშემორტყმული სასახლე! მოღალატე ცოლი! ცოლის საყვარელი - ჩემი მოსისხლე მტერი! ყველგან ჩემი მკვლელობა! რა სიგიჟეა! რა კომმარია, ღმერთო! გისმენ! ილაპარაკე! რატომ არ მესმის შენი ხმა! *(ფანჯარას ალებს და თავს გაჰყოფს. ყვირის.)* ვის უნდა მეფის მოკვლა?! 10 000 ოქრო მაგას!.. *(კასანდრას.)* ხედავ?! *(ისევ ყვირის ფანჯრიდან.)* ვისაც მეფის

სიკვდილი უნდა, ასი ათას ოქროს მიიღებს! დღესვე! (კასანდრას.) გინდა ასი ათასი ოქრო?! მითხარი, რომ ჩემი მოკვლა გსურს და ახლავე მიიღებ!.. რა ცუდია, რომ პირში ჩვარი გიდევეს და არ მესმის, რას ამბობ... როგორ ტყუილად დაგეკარგა ასი ათასი ოქრო!.. აქ ყველა ჩემი ერთგულია, ესაა სიმართლე! პირველ რიგში კი - ჩემი ცოლი! დედოფალმა იცის, რატომ მოვკალი ჩემი შვილი - იფიგენია... იცის, რომ სხვა გზა არ იყო... ის ამის გამო არ მემტერება! მე წინასწარ ვკითხე იფიგენიას, ვიდრე მოვკლავდი, მზად იყო თუ არა ამისთვის, გაწირავდა თუ არა თავს... მან მითხრა: დიახ! ყველაზე მძიმე იყო ეს, რაც ცხოვრებაში ჩამიდენია... ჩემი ხელით გამოვჭერი ჩემს შვილს ყელი... თავის მოკვლა მინდოდა... მაგრამ არ დამანებეს... ომის წინ თავს ვინ მომაკვლევიანებდა?! იფიგენია უნდა მომკვდარიყო... სხვანაირად არ იქნებოდა არც გამარჯვება... არც მშვიდობა... არაფერი. ჩვენ გავწიეთ იფიგენიას უმძიმესი მსხვერპლი. გავწიეთ და გავუბედურდით. უბედურები ვართ მე და ჩემი ცოლი! ყველაზე უბედურები ამ ქვეყნად! გამარჯვებული ქვეყნის მეფე და დედოფალი... მაგრამ უნდა დავმალოთ ჩვენი უბედურება... ხალხს არ უნდა დავანახოთ... არც ჩვენს შვილებს არ უნდა ვაჩვენოთ... ყველას უნდა ეგონოს, რომ არაფერი გვახსოვს... არ გვეპატიება სისუსტე... ძლიერები უნდა ვიყოთ... ყველაზე ძლიერები! რადგან ქვეყანას ვმართავთ... ხალხის ბედი გვაბარია. ადამიანური გრძნობებით ვერ ვიცხოვრებთ. ზეადამიანობა გვმართებს! დედოფალი ბრძენია... ის ჭკუიდან არასდროს გადავა... მე ვიცნობ ჩემს ცოლს! ჩემს თავზე უკეთ ვიცნობ... აი, მეფე კი ლამის გაგიჟდა... ლამის ლოგიკის სფეროდან გავიდა... დედოფალს ჩემთვის ერთი საყვედურიც არ უთქვამს! „შვილის“ თემა საერთოდ არ უხსენებია! ერთი ცრემლიც არ ჩამოვარდნია ჩემს დასანახად! თავისი დისგან განსხვავებით, მას არასდროს შეშლია ღირსების საქმეში! აი, ასეთი ცოლი მყავს მე! ზევსის ცოლობაც დამშვენებოდა, არათუ აგამემნონის ცოლობა! ქედს ვიხრი თქვენს წინაშე, ჩემო დედოფალო! და ათას ზოდის ვიხდი! ათი ათასს! და ასი ათასს! ამ ქალმა გადამრია!.. თქვენ წინააღმდეგ განმაწყო... გონება ამირია... მე ყველაფერი დავიჯერე, რადგან სული არ მაქვს დამშვიდებული... ძალიან მშფოთვარე ვარ...

დაუჯდომელი გონებით ვმოქმედებ... დედოფალო, ჩვენ ისეთი მძიმე ცხოვრება გამოვიარეთ... იმდენი რამე შეგვემთხვა... ჩვენგან არანაირი საქციელი არაა გასაკვირი... გასაკვირი ისაა, რომ ბოლომდე არ გადავირიეთ... რომ კიდევ ჭკუა მოგვეკითხება... რომ კიდევ ქვეყნის მართვა შეგვიძლია... რომ კიდევ ბავშვების გაზრდას ვკიდებთ ხელს... რომ კიდევ მომავალს შევყურებთ და უკეთესობას ველით... რომ იმედი გვაქვს, ყველაფერი კარგად იქნება!.. (აგამემნონი ძალღივით მკლავებში მოიქცევს თავს და თვალებს ხუჭავს. ბნელდება. ისმის მოძრაობა და სხეულზე დარტყმის ხმა. ნათდება. აგამემნონი ფეხზე მდგარი მიშტერებია კლიტემნესტრას, რომელიც ნაჯახით ჩეხავს სკამზე დაბმულ კასანდრას. ბნელდება.)

დასასრული